ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №2017-98

ქ. თბილისი

2017 წლის 25 დეკემბერი

ერთი მხრივ **"ერედვის მუნიციპალიტეტი"** წარმოდგენილი ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელის ოთარ ცოტნიაშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **ფიზიკური პირი ზაზა ტურაშვილი პ/ნ 59003002642** შემდგომში „მიმწოდებელი"
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მე-3 მუხლის $ს^1$ პუნქტი) მოთხოვნათა შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი" – "ერედვის მუნიციპალიტეტი"
1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.
1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

2. შესყიდვის ობიექტია

2.1. ბავშვების ტრანსპორტირება (CPV60170000- სატრანსპორტო საშუალების დაქირავება მძღოლთან ერთად) მომსახურების შესყიდვა.
2.2. გასაწევი მომსახურების აღწერილობა, მგზავრობის გრაფიკი განისაზღვრება დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 290 (ორას ოთხმოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით;
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც უშუალოდ მომსახურების ღირებულებას, ასევე მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს, მათ შორის მიმწოდებლისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევა ხორციელდება 2017 წლის 27 დეკემბერს სოფელ კოდის დევნილთა დასახლებიდან სოფ. ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში და უკან.
4.2. მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების მიწოდება იქნება დროული, ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარება

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება მომსახურების გაწევის შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების სათანადოდ უფლებამოსილი პირების ხემოწერებით.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3. მიმწოდებლისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

8.1 შემყიდველს უფლება აქვს :

8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.1.2 აწარმოოს გაწეული მომსახურების კონტროლი. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

8.1.3 მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების და დანართის შესაბამისად.

8.4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.

8.4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება, შესაბამისი შეტყობინების (ზეპირი/წერილობითი) მიღების შემდეგ გონივრულ ვადაში.

8.4.4. მომსახურების გაწევისას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები.
8.4.5 მომსახურების გაწევისას აანაზღაუროს შემსყიდველის ან მესამე პირისთვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი.
8.4.6. ავტოსატრანსპორტო საშუალება მომსახურების გაწევისას უნდა იყოს ტექნიკურად გამართული და სუფთა მდგომარეობაში.
8.4.7. მომსახურე მძღოლს უნდა გააჩნდეს კანონმდებლობით დადგენილი იმ კატეგორიის მართვის მოწმობა ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის რომლითაც ახორციელებს მომსახურების გაწევას.
8.5. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებანი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2. მიმწოდებლის მიერ არაჯეროვანი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლოა დაეკისროს პირისგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირისგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირისგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირისგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან ან დარღვევათა გამოსწორებისაგან.
9.6. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.6 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ შეთანხმების და ხელმოწერის საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

11.2. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს დაგაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში მიმწოდებელს არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. ხელშეკრულების ინსპექტირება

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის ხარისხის და მიწოდების ვადების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს ერედვის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ვლადიმერ ქრისტესიაშვილი.

13.3 გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრას ახორციელებს მიმწოდებელი, შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

16. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“
"ერედვის მუნიციპალიტეტი"

თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ.№89/24
ს/კ: 218065055 ტელ: 595 053737
ანგარიშსწორების რეკვიზიტები:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი: TRESGE22
ა/ა GE24MB0330100200165022

ოთარ ცოტნიაშვილი
მუნიციპალიტეტის გამგებელი

„მიმწოდებელი“
ფ/ზ ზაზა ტურაშვილი
მის: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. კოდის დევნილთა დასახლება
პირადი ნომერი: **59003002642**
ტელ: **595 55 66 67**
სს "ტერაბანკი"
ბანკის კოდი TEBAGE22
ანგარიშის №**GE92KS0036010123569201**

ზაზა ტურაშვილი

დანართი

შესყიდვის ობიექტის დასახელება	გასაწევი მომსახურების აღწერილობა	რაოდენობა	მომსახურების ღირებულება
1	2	3	4
ბავშვების ტრანსპორტირება	მიმწოდებელი უზრუნველყოფს 2017 წლის 27 დეკემბერს 12:00 სთ-ზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდიდან 30 ბავშვის ტრანსპორტირებას სოფელ ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში საახალწლო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად.	1 დღე	290 ლარი

„შემსყიდველი“
"ერედვის მუნიციპალიტეტი"

ოთარ ცოტნიაშვილი
ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

„მიმწოდებელი“
ფ/ზ ზაზა ტურაშვილი

ზაზა ტურაშვილი
ფიზიკური პირი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 25 დეკემბერი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ "ერედვის მუნიციპალიტეტის" მიერ სოფ. კოდიდან სოფ. ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში ბავშვების ტრანსპორტირების მომსახურების განხორციელებაში, რომელსაც ახორციელებს ი/მ ზაზა ტურაშვილი (პ/ნ 59003002642) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

_____ ოთარ ცოტნიაშვილი

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი

_____ ვლადიმერ ქრისტესიაშვილი